საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/2164
11/08/2023

2164-01-2-202308111437

ლაშა ჯავშანაშვილს პ/ნ 45001035988
(Fb მაღაზია Basketballshop- კალათბურთის ბოტასები)

მისამართი: ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალსოფელი,
მე-12 ქუჩა, №104
ელ-ფოსტა: sneakersshoptbilisi@gmail.com
ტელეფონი: 598 915 724

ბატონო ლაშა,

გაცნობებთ, რომ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 11 აგვისტოს №04/522 ბრძანებით, მოქალაქე სალომე ადუაშვილის 2023 წლის 28 ივნისის №01/2142 განცხადების საფუძველზე, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრე - ლაშა ჯავშანაშვილის (პ/ნ 45001035988) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ„ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა)ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ქვეყნდება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

პროცედურის მე-17 მუხლის შესაბამისად, საქმის შესწავლის შედეგად, სააგენტო წერილობით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურების შესახებ;

ბ) მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ;

გ) მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების შემთხვევაში დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე საქმის შესწავლის დასრულების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე, 29-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, 7 (შვიდი) სამუშაო დღის ვადაში წარმოგვიდგინოთ თქვენი პოზიცია განცხადებაში მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით და სავაჭრო პოლიტიკა (მომხმარებელთან ურთიერთობისთვის განკუთვნილი წესები და პირობები) დისტანციური (ონლაინ) ვაჭრობის შემთხვევაში:

- მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების დადგენილი სტანდარტის;
- მომხმარებლებისთვის განკუთვნილი თქვენ მიერ შემუშავებული სტანდარტული პირობების;

- საქონლის გაცვლა/დაბრუნების წესის/პირობების;
- კანონისმიერი/კომერციული გარანტიის პირობების შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით 2023 წლის 11 აგვისტოს №04/522 ბრძანების ასლს და სალომე ადუაშვილის განცხადებას.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,

მარიამ შაიშმელაშვილი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/522
11.08.2023

ბრძანება

522-01-4-202308111328

მოქალაქე სალომე ადუაშვილის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის, „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 პუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. მოქალაქე სალომე ადუაშვილის (პ/ნ 01001025373) 2023 წლის 28 ივნისის №01/2142 განცხადების საფუძველზე დაიწყოს საქმის შესწავლა მოვაჭრე - ლაშა ჯავშანაშვილის (პ/ნ 45001035988) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის თაობაზე.
2. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
3. საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე ეცნობოთ მხარეებს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 11 აგვისტოს №03/580 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე